დანართი №2

შპს ორიენტირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე
წევრი:
ხათუნა ურუშაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს ორიენტირი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი:*200011904*

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების N MES 6 25 0000759878 26/06/2025 საფუძველზე განახორციელა ვიზიტი შპს ორიენტირში (მისამართი: ქ. თბილისი,ცოტნე დადიანის ქ. N26) 2025 წლის 1 ივლისს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტთან შესაბამისობის დასადგენად.

ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა.
ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

განათლების ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა ექსპერტებს მოაწოდა ინფორმაცია(წერილი MES 4 25 0000859154 11/07/2025) შპს *ორიენტირის მიერ დასკვნის პროექტის გაცნობის შესახებ. კოლეჯის დირექტორის მიერ ხელმოწერილი წერილი ადასტურებს რომ გაეცნო წარმოდგენილ დასკვნის პროექტს. აღნიშნული წერილის შემდგომ ექსპერტებს დასკვნის დოკუმენტში ცვლილება არ შეუტანიათ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში/Higher Vocational Qualification in Massage Therapy
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება № 00006805; 07/05/2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, ც.დადიანის ქ. N26
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	------
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

I. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ: გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება არ წარმოადგენს სპონტანურ ან მოკლევადიან საჭიროებაზე რეაგირებას, არამედ ეფუძნება კოლეჯის გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას.

შპს „ორიენტირის“ მიერ შემუშავებული და შეთავაზებული პროგრამა „მასაჟის თერაპია“ სრულად არის თანხვედრაში როგორც კოლეჯის მისიის, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმის ძირითად მიზნებთან. კონკრეტულად, პროგრამის დანერგვა ემსახურება სტრატეგიული მიზანი N1-ის შესრულებას, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება და მრავალფეროვნება.

კოლეჯის მისია – რომელიც გულისხმობს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მჭიდროდ დაკავშირებულ, ხარისხიან პროფესიულ განათლებაზე ორიენტაციას – მკაფიოდ აისახება აღნიშნული პროგრამის შინაარსსა და მიმართულებაში. „მასაჟის თერაპიის“ პროგრამა, ჯანდაცვის სფეროს მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი, კომპეტენტური კადრების მომზადებას, რაც სრულად შეესაბამება კოლეჯის ძირითად პრინციპებს.

აქედან გამომდინარე, შეფასება დადებითია: გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ არამარტო დასაბუთებულია, არამედ ნათლად არის ჩადგმული კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული განვითარების ლოგიკაში.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: დადებითად შეფასდა ის გარემოება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელებისას განსაზღვრულია გასაგები და დასაბუთებული დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას განსაზღვრულ ვადებში.

პროგრამაზე მიღების ძირითადი კრიტერიუმია სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რაც შეესაბამება მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს. აღნიშნული წინაპირობა ხელს უწყობს იმ კანდიდატთა შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ საწყისი საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც პროგრამის ეფექტურად ათვისების წინაპირობაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩარიცხვის პროცედურები დეტალურად გაწერილია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში“ (2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანება) და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროცესი განხორციელდება აპლიკანტების მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და თანასწორობას.

შეფასებისას მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის დაწესებულება ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებზე მორგებულ მიდგომას და ჩარიცხვას ახორციელებს პროფესიის მოსინჯვის საფუძველზე, რაც ხაზს უსვამს ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის პრინციპების გათვალისწინებას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები რაციონალურად განსაზღვრულია და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სასწავლო შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ: ეფასების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შპს „ორიენტირი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ განახორციელა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენის მკაფიო და დასაბუთებული წესის შესაბამისად. დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი – „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც წარმოადგენს პროგრამებზე სტუდენტთა დატვირთვის განსაზღვრისათვის ძირითად ჩარჩოს.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს სხვადასხვა მნიშვნელოვან კომპონენტს, მათ შორის:

- პროგრამისათვის საჭირო სასწავლო გარემოს ტიპს (A, C),
- მატერიალურ, ადამიანურ და საბიბლიოთეკო რესურსებს,
- პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველსაყოფად,
- სწავლის ხანგრძლივობასა და ფორმატს და სხვა.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრას ყველაზე შეზღუდული რესურსის გათვალისწინებით, რაც ქმნის რეალისტურ და მართვად ჩარჩოს პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა „მასაჟის თერაპია“ ზემოხსენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას – 40 პროფესიული სტუდენტი მთელ პროგრამაზე, ორ ჯგუფად(თითო ჯგუფში – 20 სტუდენტი). რაოდენობა განსაზღვრულია დაწესებულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსების და საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურის ანალიზის საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული დოკუმენტური შესწავლა, სივრცის ვიზუალური დათვალიერება და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან კონსულტაციები ადასტურებს, რომ ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ეფუძნება არა ფორმალურ, არამედ რეალურ შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ოპტიმალურ დატვირთვას და ხარისხის შენარჩუნებას.

დასკვნა: პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ განსაზღვრულია დადგენილი მეთოდოლოგიის სრული დაცვით და ასახავს პროგრამის ინფრასტრუქტურულ და რესურსულ შესაძლებლობებს. რაოდენობა რეალისტურია და პროგრამის ეფექტური განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს.**ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო და მატერიალური რესურსებით, რაც საშუალებას აძლევს პროფესიულ სტუდენტებს სრულად მიაღწიონ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამას დანართის სახით ახლავს დეტალური ჩამონათვალი იმ მატერიალური და სასწავლო რესურსებისა, რომლებიც აუცილებელია პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ შპს „ორიენტირი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს უკვე რამდენიმე წელია ახორციელებს და შესაბამისად, გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება რესურსების სწორად დაგეგმვისა და გამოყენების მიმართულებით.

დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობის რეგულარულ შიდა კვლევას, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ისე პროფესიული სტუდენტები. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანი კომპონენტია საჭიროებების იდენტიფიცირებისა და რესურსების შერჩევის პროცესში. კვლევის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გაუმჯობესებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც პროგრამის განმახორციელებელთა, ისე პროფესიულ სტუდენტთა შეფასებით, არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და მოდულების მოთხოვნებს. კოლეჯი უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფს საჭირო რესურსების მიწოდებას. პრაქტიკაში ეს გულისხმობს, რომ თითოეული მოდულის დაწყებამდე შესაბამისი რესურსი დროულად გადაეცემა პროგრამის განმახორციელებელ პირს.

სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით, სრულად დამუშავებულია ბიბლიოთეკის წესების შესაბამისად და თავისუფლად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის. კოლეჯის ბიბლიოთეკაში დაცულია პროგრამისთვის საჭირო დოკუმენტაცია და ლიტერატურა, რაც უზრუნველყოფს რესურსების მრავალფეროვნებასა და მათ ეფექტურ გამოყენებას.

ნორმატიული აქტების განახლებაზე წვდომა უზრუნველყოფილია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) პლატფორმის გამოყენებით, რაც პროგრამის მოდულებში გათვალისწინებული სამართლებრივი მასალების მუდმივ განახლებას და დროულად მიწოდებას უზრუნველყოფს.

სასწავლო გარემო კოლეჯის სივრცეში სრულად შეესაბამება C ტიპის მოთხოვნებს, სადაც განთავსებულია როგორც მასაჟის თერაპიის, ისე მოდულის – „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ შესაბამისი მატერიალური ბაზა. აღნიშნული გარემოები ტექნიკურად აღჭურვილია პროფესიული პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, რაც კიდევ უფრო ამყარებს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები არის რელევანტური, ადეკვატური და პრაქტიკულად გამოყენებადი, რაც საშუალებას აძლევს პროფესიულ სტუდენტებს მიაღწიონ პროგრამით განსაზღვრულ შედეგებს და მოემზადონ რეალურ სამუშაო გარემოში ინტეგრაციისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ მომზადებულია მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად და ითვალისწინებს არჩევითი მოდულის – „ესთეტიკური მასაჟი“ განხორციელებას. აღნიშნული მოდული უზრუნველყოფს სტუდენტების სპეციალიზებული ცოდნის გაღრმავებას და ასახავს შრომის ბაზარზე მოთხოვნად მიმართულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არჩევითი კომპონენტის არსებობა ხაზს უსვამს პროგრამის მოქნილობას და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ინტერესებისა და კარიერული გეზის შესაბამისად შეარჩიონ დამატებითი უნარების განვითარების შესაძლებლობა.
აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოდულის დანერგვა ემყარება როგორც სტანდარტულ მოთხოვნებს, ისე პრაქტიკულ საჭიროებებს, რაც კიდევ უფრო ამყარებს პროგრამის შესაბამისობას ბაზრის მოთხოვნებთან და ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალს.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. კერძოდ: შეფასების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ შპს „ორიენტირში“ დამტკიცებულია დაწესებულების შიდა რეგულაციებისა და მოქმედი წესების სრული დაცვით.

პროგრამის დამტკიცება განხორციელდა „შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესის“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის №22371 ბრძანებით. აღნიშნული წესი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების/დამტკიცების სამართლებრივ, აკადემიურ და ხარისხობრივ მართვას.
პროგრამის საბოლოო დამტკიცება განხორციელდა შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2025 წლის 6 მაისის №6805 ბრძანებით, რაც პასუხობს შინაგანად დადგენილ პროცედურებს. დირექტორის უფლებამოსილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ მკაფიოდ განსაზღვრულია დაწესებულების დებულებაში, კერძოდ, შპს „ორიენტირის დებულების დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2021 წლის 4 დეკემბრის №00007656 ბრძანებით.

აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ პროგრამის დამტკიცების პროცესი განხორციელდა სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს სრული დაცვით, რაც ქმნის მყარ საფუძველს პროგრამის სანდოობისა და ლეგიტიმურობის თვალსაზრისით.**ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია**

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: **პროგრამის მიზანი** არის **კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება**, რომელიც შეძლებს შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას.
პროგრამის ფარგლებში მომზადებული კურსდამთავრებული შეძლებს:

- გამოიკვლიოს პაციენტი/კლიენტი და შეაფასოს მისი მდგომარეობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- აღწეროს მასაჟის ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები;
- გამოიყენოს ბიოეთიკისა და დეონტოლოგიის პროფესიული ასპექტებისა და ურთიერთობის ფსიქოლოგია;
- მოაწყოს უსაფრთხო სივრცე მასაჟის პროცედურის ჩასატარებლად;
- აღწეროს მასაჟის თეორიული საკითხები;
- გააკეთოს კლასიკური (შვედური) მეთოდიკით ზოგადი და რეგიონალური მასაჟი;
- გააკეთოს სამკურნალო მასაჟი;
- გააკეთოს სპორტული მასაჟი;
- გააკეთოს ადრეული ასაკის ბავშვთა ზოგადგამაჯანსაღებელი და სამკურნალო მასაჟი;
- გააკეთოს პრევენციული (პროფილაქტიკური) მასაჟი;
- განახორციელოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
- იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე;
- განახორციელოს ესთეტიკური მასაჟი ან სპა და ბალნეოთერაპიული პროცედურები.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და შეესაბამება პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სამართლებრივ და პროცედურულ ჩარჩოს.

პროგრამის სახელწოდება – *„მასაჟის თერაპია“* – შეესაბამება დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს და წარმოადგენს სარეგისტრაციოდ სწორად განსაზღვრულ ფორმულირებას.

პროგრამის შემუშავება განხორციელდა შპს „ორიენტირის“ შიდა დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესის“ მიხედვით (დამტკიცებული 2024 წლის 27 დეკემბრის №22371 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ყველა ძირითად ეტაპს.

დოკუმენტურად დადასტურდა, რომ სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიქმნა კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, პასუხობდა პროგრამის პროექტის შემუშავებაზე. შემუშავებული პროგრამის პროექტი, თანდართული დოკუმენტაციით, წარედგინა დირექტორს დასამტკიცებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დამტკიცება განხორციელდა შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2025 წლის 06 მაისის №6805 ბრძანებით, რაც ასახავს პროგრამის შემუშავების პროცესის დასრულებას და მის სამართლებრივ ძალაში შესვლას.

პროგრამა სრულად მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტრუქტურულ ელემენტებს:

- პროგრამის სახელწოდებას,
- მიზნებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას,
- დაშვების წინაპირობებს,
- სწავლის შედეგებსა და მათ დეტალურ აღწერას,
- შეფასების მიდგომებს,
- დასაქმების შესაძლებლობებს,
- პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობას,
- სწავლების მეთოდოლოგიასა და
- პრაქტიკის განხორციელების მექანიზმებს.

პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულებს (A2 და B1 დონეზე), აღნიშნული მოდულები სავალდებულოა მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროგრამაზე სწავლა დაიწყეს არაქართულენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე, რაც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის მოცულობით, 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 83 კრედიტის მოცულობით. მასაჟის თერაპიაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 97 კრედიტის დაგროვება.

დასკვნა: პროგრამა *„მასაჟის თერაპია“* შეესაბამება როგორც პროფესიული განათლების სახელმწიფო სტანდარტს, ისე კანონმდებლობით დადგენილ პროგრამის შემუშავების პროცედურებს. პროგრამის შინაარსობრივი სტრუქტურა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესი სრულად უზრუნველყოფს მის ლეგიტიმურობასა და ხარისხიან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „შპს ორიენტირის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 10 ოქტომბრის N9110 ბრძანება;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- https://orientiri.edu.ge/wp-content/uploads/2021/12/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90.pdf
- „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანება;
- „შპს ორიენტირში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესის გადამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის N 01/121 ბრძანება;
- ,,შპს ორიენტირის "მასაჟის თერაპიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის N6731 ბრძანება.
- „შპს ორიენტირის დებულების დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის № 00007656 ბრძანება.
- „შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,
- შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის №22371 ბრძანება;
- „შპს ორიენტირის მასაჟის თერაპიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ შპს ორიენტირის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის N6805 ბრძანება.
- მატერიალური რესურსების მართვის წესით- დამტკიცებული დირექტორის ბრძ.#-----
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით კერძოდ;

შეფასების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ სრულად უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსებით, რაც ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის განხორციელება ხორციელდება ქ.თბილისი, ც.დადიანის ქ. N26შპს „ორიენტირის“ ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტების ჩატარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. პროგრამას თან ერთვის დეტალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი რესურსების წარმოდგენას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თეორიული კომპონენტი ხორციელდება შესაბამისად აღჭურვილ A ტიპის გარემოში, ხოლო პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობს კოლეჯის საკუთრებაში არსებულ C ტიპის გარემოში, რომელიც სრულად შეესაბამება პროფესიული სწავლების სპეციფიკასა და სტანდარტებს. B გარემოს საჭიროება პროგრამას არა აქვს.

ყველა სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო ინვენტარით ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლით(პროგრამაზე სრულად 40 პროფ. სტუდენტი), რაც შეესაბამება პროგრამისთვის დადგენილ ზღვრულ რაოდენობას და იძლევა სასწავლო პროცესის ორგანიზებულად და ეფექტიანად წარმართვის საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა მოდულის ყველა სწავლის შედეგის მიღწევა შესაძლებელი ხდება კოლეჯის საკუთრებაში არსებული რესურსების მეშვეობით, დამატებითი საწარმოების ან საგანმანათლებლო ობიექტების საჭიროების გარეშე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა სრულად შეესაბამება მის მიზნებსა და მოდულურ სტრუქტურას.

დასკვნა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ განხორციელდება რესურსობრივად გამართული და სტანდარტებთან შესაბამის გარემოში, რაც პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფს საჭირო პირობებით მათი სწავლის შედეგების მიღწევისთვის აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა(თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი.სულ 19 განმახორციელებელი) და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი განმახორციელებელი პერსონალი.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 19 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 12, ხოლო 6 ზოგადი მოდულების, 1 ქართული ენის განმახორციელებელი. განმახორციელებელია. შესაბამისად, პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

ინდიკატორის 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. ბოლო პერიოდში კოლეჯში ჩატარდა სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები:

- შპს ორიენტირში 2025 წლის 24 მაისს პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჩატარდა შეხვედრა თემებზე : „პროფესიულ განათლების მასწავლებლის ახალი რეგულაციები და მოთხოვნები“;"პრატიკული მეცადინეობის დაგეგმვა".
- 2024 წლის 17 დეკემბერს, შპს ორიენტირში ჩატარდა პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი კოლეჯის პერსონალისთვის.
- საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, შეხვედრა ამავე პროგრამის მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.შეხვედრაზე განხილული იყო მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ეხებოდა პროგრამის განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.
- მიმდინარე წლის 9 და 10 ნოემბერს , ჩატარდა კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე - ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პრინციპები და ავტორიზაციის პირველი სტანდარტი.ტრენინგის მიზანი იყო კოლეჯების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფაში.
- ა/წლის 13 სექტემბერს ახალი სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის დაგეგმვის მიზნით შედგა კოლეჯის ადმინისტრაციის შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ორიენტირში პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპიუტერული და ციფრული უნარ-ჩვევების გასაძლიერების მიზნით ჩატარდა ტრენინგი;
- მიმდინარე წლის 2 აპრილს შპს ორიენტირში ჩატარდა ადმინისტრაციის შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. შეხვედრაზე განხილული იყო პროფესიული განათლების გამომწვევები, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიდგომები. ასევე, შეხვედრაზე სერტიფიკატები გადაეცათ ტრენინგში - „როგორ გავხადოთ ლექცია/სემინარი (სწავლების აქტიური მეთოდები)“ მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებლებს.
- პროფესიული უნარების სააგენტომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი, „მეწარმეობის“ განახლებული მოდულის განმახორციელებელი, შესაბამისი პროფესიონალი კადრები მხარდაჭერის, მათი შემდგომი პროფესიული განვითარების და მოდულის ეფექტიანად სწავლების მიზნით გამართა შემაჯამებელი შხვედრა შეხვედრა, რომელიც ემსახურებოდა გამოცდილების გაზიარებას.
- აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა კოლეჯ ორიენტირის „მეწარმეობის“ მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი მაია პაპიაშვილი.
- პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებით შედგა ჯანდაცვის პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის სამუშაო შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯ ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კბილის სატექნიკო საქმე“, „საექთნო განათლება“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული განათლების მასწავლებლებმა.
- პერსონალის განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე "ემოციების მართვა". ტრენინგის ფასილიტაციას უწევდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი და ამავე ცენტრის პიროვნული ზრდისა და განვითარების ტრენერი, ა(ა)იპ განათლების კვლევისა და კარიერული განვითარების ცენტრის ტრენერი ლალი ჭელიძე.ტრენინგის ბოლოს, მიღებულმა უკუკავშირმა, დაადასტურა ტრენინგის მონაწილეთა კმაყოფილება. ტრენინგის დასრულების შემდეგ, მონაწილეთა ნაწილი ჩაერთო ,,მარათონში" - ,,მენტალური დასუფთავება"
- კოლეჯის "ორიენტირი" პროფესიული განათლების მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს პროფესიული უნარების მიერ ორგანიზებულ ტრენინგში- საწვლა- სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდნტთა მიღწევების შეფასება

პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი** კერძოდ, დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „მასაჟის თერაპია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების პროცესში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც. **ინდიკატორის 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5.**საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.** კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “მასაჟის თერაპიის” მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით.

კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებს. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს:

- სამკითხველო სივრცეს 16 პირზე, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის;
- 2 კომპიუტერს(სამკითხველოსთვის)+1 ბიბლიოთეკარისათვის, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში;
- ფერად პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას.

ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. დამატებით, კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს შესაძლებლობას, გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OFEN Biblio-ს.
დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება);
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე(ასეთის საჭიროების შემთხვევაში) , რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.
კოლეჯის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- სპეციალისტის ჩართულობას, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში"

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- სხვა დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების ადაპტაციას, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში. კოლეჯის ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს:

- საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიების შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მიეწოდება მისთვის მოსახერხებელ ფორმატში;
- ბეჭდური რესურსების ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ადაპტირება, მათ შორის შრიფტის ზომის და სტილის ოპტიმიზაცია;
- საგანმანათლებლო რესურსების შინაარსობრივი ადაპტირება, რაც მოიცავს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის ხელშეწყობასა და სხვა შესაბამის ცვლილებებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით.

გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული პირები შესაძლოა დაიშვან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, იმ პირობით, რომ მათი სასწავლო წარმატების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები.
კოლეჯს აქვ გამოცდილება შშმ პირების სწავლების კუთხით. და ამჟამადაც ერიცხებათ შშმ პირები. ერთ პირს არ ესაჭიროება განსაკუთრებული ადაპტირება, თუმცა მეორე პირისათვის უკვე განხორციელდა მოდულების და სასწავლო რესურსის შესაბამისი საჭიროებით ადაპტირება. ადაპტირდა შეფასების ინსტრუმენტებიც. სისტემატიურად მიმდინარეობს კომუნიკაცია შშმ პირის კანონიერ წარმომადგენელთანაც. კოლეჯს ჰყავს **ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.**
ამ მიდგომის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს თავისი უნარები და მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება.
ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ: კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს.
ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 15 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის:

- პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო მასალების ხარჯი
- ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯი;
- კომუნალური ხარჯი;
- რეკლამის ხარჯი;
- სხვა ხარჯი

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "მასაჟის თერაპიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით-დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება № 01-35 20.11. 2018 წ.
- „შპს ორიენტირის მასაჟის თერაპიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ შპს ორიენტირის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის N6805 ბრძანება;
- "შპს ორიენტირის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის 2021 წლის 29 ნოემბრის N00007465 ბრძანება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- „შპს ორიენტირის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის №7466 ბრძანება;
- „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანება.
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით
- „შპს ორიენტირის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის №7466 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით.
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. კერძოდ: შეფასების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ორიენტირში“ მოქმედი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ უზრუნველყოფილია პროგრამის შეფასების მექანიზმით, რომელიც ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნების, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის სისტემურ ანალიზს.

პროგრამის შეფასების პროცესი რეგულირდება შიდა დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესით“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, 2024 წლის 27 დეკემბერს, №22371), რომელიც წარმოადგენს პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების საფუძველს.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აგებულია დემინგის ციკლის მოდელზე: „დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – გადახედე – გააუმჯობესე“, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სისტემურ შეფასებასა და საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესს.

აღნიშნული მექანიზმი მოიცავს:

- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას,
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზს,
- პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების მოსაზრებების გათვალისწინებას,
- პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგების ანალიზს.

შეფასებისთვის კოლეჯს შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კვლევითი ინსტრუმენტები, მათ შორის:

- პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კითხვარი სწავლებასთან დაკავშირებით,
- სტუდენტის უკუკავშირი პრაქტიკული კომპონენტის განვლადობის შესახებ,
- კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და საჭიროებების კვლევის ფორმა,
- დამსაქმებელთა შეფასების ფორმები,
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და კვალიფიკაციის გაღრმავების საჭიროებების კითხვარები.

ინტერვიუირების პროცესში კოლეჯის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საჭიროებისამებრ, **კვლევის ინსტრუმენტებს ემატება ახალი ელემენტები**, რაც ზრდის მათი გამოყენების ეფექტურობას კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო როგორც კვლევების ჩატარების პრაქტიკას, ისე **კვლევის ანგარიშებს და მათ საფუძველზე განხორციელებული რეაგირების დოკუმენტაციას**, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯი რეალურად იყენებს შეფასების მონაცემებს **პროგრამის გაუმჯობესებისთვის**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასკვნა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი შპს „ორიენტირში“ წარმოადგენს მოქნილ, მიზანმიმართულ და სისტემურ პროცესს, რომელიც ეფუძნება მრავალწყაროვან ინფორმაციას, უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების აქტიურ მონაწილეობას და პასუხობს ადგილობრივი შრომის ბაზრის დინამიკას. მექანიზმი ქმნის მყარ საფუძველს პროგრამის უწყვეტი განვითარებისთვის და ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: შეფასების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ორიენტირი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„მასაჟის თერაპია“** ჯერ არ განუხორციელებია, თუმცა სხვა პროგრამების ჭრილში კოლეჯს აქვს გამოცდილება ამ მიმართულებით. კოლეჯი სხვადასხვა პროგრამებისათვის ახორციელებს სისტემურ ანალიზს პროგრამის განხორციელების ხარისხთან დაკავშირებით. ანალიზი ემყარება შიდა რეგულაციებს, კერძოდ:

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს“,
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესს“ (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით).
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს პროგრამის განხორციელების მონიტორინგს;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური ზედამხედველობს სწავლების ორგანიზებასა და პროგრამის აქტუალურობას;
- პროგრამის ხელმძღვანელი სისტემატურად მართავს შეხვედრებს პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სადაც განიხილება პროგრამის მიმდინარეობა და პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებები.

დაინტერესებული მხარეებისგან (პროფესიული სტუდენტები, მასწავლებლები, დამსაქმებლები, პარტნიორები) მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, პროგრამაში ხორციელდება ცვლილებები. მათ შორის აღსანიშნავია:

- შეფასებისთვის გამოყოფილი საათების გადანაწილება,
- თემატური სტრუქტურის დახვეწა,
- სასწავლო რესურსების განახლება.

ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუ ჩართულ მხარეებთან, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ კოლეჯი რეალურად იყენებს შეფასების შედეგებს პროგრამის შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ გაუმჯობესებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასკვნა: შპს „ორიენტირი“ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის რეგულარულ ანალიზს და, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს მიზნობრივ ცვლილებებს საკუთარი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ეს მიდგომა გავრცელდება პროგრამაზეც “მასაჟის თერაპია”

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,

შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“ და ბრძნება დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის №22371 ბრძანება;

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- „შპს ორიენტირში მარეგულირებელი ნორმების დამტკიცება/გადამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 24 მაისის

N01/51 ბრძანებაში ცვლილების შეტანის, შპს ორიენტირში კვლევის ჩატარების სახელმძღვანელოს და განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების თაობაზე“

- შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს N01/87 ბრძანება.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,

განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით- დამტკიცებულია დირექტორის ბრძ N 01-51 17.10.2024წ.;

- სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;
- გასაუბრებით
- კვლევების მეთოდოლოგიით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ: შპს „ორიენტირში“ მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ თანდართულად მოიცავს სასწავლო გეგმას (დანართი N1როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულნოვანი სტუდენტებისათვის), რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, მოქმედი შიდა დოკუმენტის – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესის“ შესაბამისად.

პროგრამის სრული პაკეტი მოიცავს:

- ძირითად პროგრამულ დოკუმენტს,
- მოდულებს,
- სასწავლო გეგმებს – როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვან და საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო მიდგომას.
- მატერიალური და ადამიანური რესურსების ჩამონათვალს.

სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტების მიხედვით, სრული შესაბამისობით მოქმედ სტანდარტთან.პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის მაქსიმუმი არის 35 საათი(რაც იძლევა საშუალებას პროგრამა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ორ ცვლაშიც),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო გეგმა. პროგრამის კომპონენტები თანმიმდევრულადაა განლაგებული , რაც ხაზს უსვამს სასწავლო პროცესის ორგანიზებულობასა და მართვის ხარისხს.
სასწავლო გეგმის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, დადგენილია შესაბამისი პროცედურები შიდა რეგულაციების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს ცვლილებების განხორციელების გამჭვირვალე, დასაბუთებულ და დოკუმენტირებულ ფორმატს.
დასკვნა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ ხორციელდება დამტკიცებული სასწავლო გეგმის საფუძველზე, რომელიც შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროცესი სრულ შესაბამისობაშია გეგმასთან, უზრუნველყოფილია სწავლების სტრუქტურული და სამართლებრივი სისწორე, ხოლო ცვლილებების განხორციელების პროცედურები განსაზღვრულია კოლეჯის დადგენილი წესით.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: პროფესიული განათლების საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროებების შესაბამისად მოქნილი მიდგომების დანერგვით. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების ინდივიდუალურ და ჯგუფურ საჭიროებებზე როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ისე მისი განხორციელების ეტაპებზე. აღნიშნული პრინციპები ასახულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენების ფორმებსა და მექანიზმებს.
დოკუმენტის საფუძველზე კოლეჯში დაცულია შემდეგი პრინციპები:

- სასწავლო გეგმები დაპროექტებულია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების გონივრულ ხანგრძლივობას და რეალისტურ დატვირთვას;
- სასწავლო ცხრილი ფორმირდება მოქნილად და საჭიროების შემთხვევაში მისი კორექტირება ხდება ინდივიდუალური ან ჯგუფური მოთხოვნების გათვალისწინებით, რათა შეიქმნას სტუდენტებისთვის ოპტიმალური განრიგი;
- სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება იმ მიდგომას, რომ სწავლა ხელმისაწვდომი და მორგებული იყოს სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტისთვის.

სასწავლო პროცესის მართვის პრაქტიკის შეფასების მიზნით ჩატარებული გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და პედაგოგებთან ცხადყოფს, რომ დაწესებულება მოქმედებს მოქმედი რეგულაციების სრული დაცვით და პრიორიტეტად აყენებს სტუდენტთა კეთილდღეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების ხელმძღვანელთა შეფასებით, კოლეჯში ჩამოყალიბებულია მოქნილი მმართველობითი და ორგანიზაციული მოდელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სწავლის პროცესში ცვლილებების დროულ და ეფექტიან განხორციელებას. ეს მექანიზმები წარმოადგენს არამარტო ფორმალურ, არამედ პრაქტიკაში მოქმედ სისტემას, რომელიც პირდაპირ აისახება სტუდენტთა კმაყოფილებასა და ჩართულობაზე.
მტკიცებულებებისა და გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ კოლეჯი სისტემატურად უზრუნველყოფს სწავლების პროცესის სტუდენტზე მორგებულ ორგანიზებას. ამ პროცესს მხარს უჭერს მოქმედი რეგულაციები, მათ შორის:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,
- ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის დოკუმენტები,
- შეფასებისა და აპელაციის პროცედურები,
- სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობები.

ამ ელემენტების ერთობლიობა ქმნის ფუნდამენტს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებებზე დროულ რეაგირებას, სწავლების ხელმისაწვდომობას და სწავლების პროცესში თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ:კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და განვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად გამიყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს და ვიზუალურ 3D თვალსაჩინოებებს.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

✓ სასწავლო მეთოდები ითვალისწინებს ინოვაციურ მიდგომებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

✓ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სწავლების პროცესს.

✓ აკადემიური პერსონალის უკუკავშირი ადასტურებს, რომ კოლეჯი ახორციელებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ასახულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში რეგულაციის თანახმად გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

- ა) პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (სსს);
- ბ) პროფესიული სტუდენტი დროებით საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო;
- გ) პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით (შიდა/გარე);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დ) სტუდენტს ნაწილობრივ უფორმდება ფორმალური განათლების აღიარება/დადასტურება და ამის საფუძველზე სჭირდება განსხვავებული სასწავლო გეგმა;
- ე) პროფესიული სტუდენტი აგრძელებს სწავლის პროცესს ფორმალური განათლების აღიარების შემდეგ;
- ვ) სხვა შემთხვევები, როდესაც პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ჩნდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აუცილებლობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს კონკრეტული პირისთვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ან ამის საჭიროება დგება მოცემულ სიტუაციაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება შეიძლება დადგეს სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართული მხარეები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური
- შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი
- პროფესიული სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი)
- საჭიროების შემთხვევაში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური უზრუნველყოფს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეესაბამებოდეს კოლეჯის შიდა რეგულაციებს და კანონმდებლობას.

გეგმის შემუშავების შემდეგ, განხორციელების პროცესში რეგულარულად ხდება სტუდენტის პროგრესის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მისი კორექტირება.

სპეციალისტების მონაწილეობით ხდება ინდ.გეგმის ეფექტურობის ანალიზი და სწავლების პროცესის შემდგომი ადაპტაცია.

შეფასების პროცესში ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის წარმომადგენლებთან, დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების გამოცდილება.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ:
კოლეჯს საკუთარ ბაზაზე აქვს უზრუნველყოფილი პროგრამა სრულად ყველა საჭირო რესურსით. შესაბამისად დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ: კოლეჯში მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და დაცვის პროცედურებს.
კოლეჯში სრულად დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა დაცულ გარემოში სწავლას.

სასწავლო გარემო აღჭურვილია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით არ საჭიროებს განსაკუთრებულ შრომის უსაფრთხოების რეგულირებას. დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით (მ.შ. „მასაჟის თერაპია“) მოქმედებს ზოგადი შრომის უსაფრთხოების წესები, რომელიც სასწავლო გარემოში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის №22371 ბრძანება;
- „შპს ორიენტირის მასაჟის თერაპიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ შპს ორიენტირის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის N6805 ბრძანება;
- „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „შპს ორიენტირის შრომის უსაფრთხოების გეგმა / პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 07 სექტემბრის N12956 ბრძანება;
- „შპს ორიენტირის მასაჟის თერაპიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების დამტკიცების თაობაზე“ შპს ორიენტირის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის N6737 ბრძანება;
- ვიზუალური მტკიცებულებები (ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმები სართულების მიხედვით,ვიდეო სათვალთვალო კამერები).
- კომპიუტერთან მუშაობის წესით;
- გასაუბრებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის სანდო, ვალიდურ, სამართლიან და გამჭვირვალე ფუნქციონირებას. შეფასების ძირითადი პრინციპები გაწერილია დოკუმენტში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და ეფუძნება შედეგებზე ორიენტირებულ, სამართლიან და არგუმენტირებულ მიდგომებს.

შეფასების სისტემის ძირითადი პრინციპებია:

- ვალიდურობა – შეფასების შედეგები რეალურად ასახავს სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს;
- სანდოობა – გამოყენებული ინსტრუმენტები იძლევა ობიექტური და თანმიმდევრული შედეგების მიღების საშუალებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამართლიანობა და ობიექტურობა – შეფასების პროცესი არის მიუკერძოებელი და თანაბარ პირობებს ქმნის ყველა პროფესიული სტუდენტისთვის;
- გამჭვირვალობა – სტუდენტებს წინასწარ აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების სისტემის სტრუქტურისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

შეფასება მიზნად ისახავს სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას. პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება შეფასების ორივე ფორმა:

- განმსაზღვრელი შეფასება – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა მოსალოდნელ შედეგებს;
- განმავითარებელი შეფასება – სტუდენტის წინსვლის მუდმივი მონიტორინგი და უკუკავშირის მეშვეობით მის წინსვლაზე ზრუნვა.

დოკუმენტაციის ანალიზმა და გასაუბრებებმა აჩვენა, რომ კოლეჯი სისტემატურად მუშაობს შეფასების სისტემის განვითარებასა და სრულყოფაზე. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი პრაქტიკა:

- რეგულარული ტრენინგები ტარდება იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას შეფასების პროცესის ერთგვაროვნება და სიზუსტე;
- ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციის პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმალურად. ვალიდაცია ტარდება როგორც ახალ ინსტრუმენტებზე, ასევე არსებულების გადამუშავებისას;
- პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია – სისტემური გადამოწმება, რაც ეხმარება სისტემის დახვეწაში.

პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების მექანიზმების, მათ შორის გადაბარებისა და აპელაციის წესის შესახებ, და სარგებლობენ მათით საჭიროების შემთხვევაში.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც მიმართულია შეფასების პროცესისა და გამოყენებული ინსტრუმენტების მართვაზე. მისი მიზანია შეისწავლოს, რამდენად ვალიდურია, სანდო, გამჭვირვალე და სამართლიანია არსებული მიდგომები. პროცესის ეფექტიანობა უზრუნველყოფილია ჩართულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და სისტემური ანალიზით, რაც შეესაბამება ხარისხის სტანდარტებს.

კოლეჯში არსებული რეგულაციის საფუძველზე, ვერიფიკაციის დაწყებამდე კომპეტენტური ჯგუფის მიერ განისაზღვრება პროცესის სტრუქტურა და ეტაპები. შეფასების სისტემის კომპონენტების გადამოწმების შედეგად, მტკიცებულებებზე დაყრდნობით მუშავდება ვერიფიკაციის გეგმა, რომელიც მოიცავს:

- პროცესში განსახორციელებელ აქტივობებსა და ვადებს;
- განსაზღვრულ არეალს — ინსტრუმენტებს, პროცედურებსა და მტკიცებულებებს;
- ძირითადი მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებას, რომელთა შესაბამისადაც ტარდება ანალიზი და ფიქსირდება შეფასების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ როგორც პროგრამის ხელმძღვანელები, ასევე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები და სხვა პროფესიონალები. ძირითადი განხილვის საგანია:

- შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამასთან;
- გამოყენებული კრიტერიუმების ობიექტურობა და გამჭვირვალეობა;
- შიდა პროცესების სანდოობა და ორგანიზაციული მთლიანობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა წარადგინა სხვა პროგრამების მაგალითზე ჩატარებული ვერიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის — კითხვარები, სამუშაო ოქმები და შედეგების ანალიზი.

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავდა არა მხოლოდ დოკუმენტაციის განხილვას, არამედ ჩატარდა მტკიცებულებების შემოწმება და ინტერვიუები სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.

პროცესის ანალიზი ცხადყოფს, რომ კოლეჯი, მიუხედავად გარკვეული გამოწვევებისა, უზრუნველყოფს ობიექტურ, გამჭვირვალე და სანდო შეფასებას. გამოვლენილი საკითხების საფუძველზე, მიმდინარეობს შეფასების სისტემის მუდმივი გაუმჯობესება.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ:

კოლეჯში მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებებისა და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვისა და დაცული შენახვის მექანიზმები. აღნიშნული რეგულაციების ფარგლებში:

- შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან არანაკლებ სამი წლის განმავლობაში;
- შეფასების უწყისები კი ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სარგებლობას როგორც შიდა, ისე გარე მიზნებისთვის.

აღნიშნული დოკუმენტაცია აღრიცხულია და დაცულია, რაც უზრუნველყოფს სისტემურ შენახვას და შემდგომ ადმინისტრირებას.

დოკუმენტების შენახვა და მართვა ხორციელდება დადგენილი საქმისწარმოების წესის შესაბამისად, რაც განაპირობებს მათ სანდოობას, ინფორმაციის დაცულობასა და საჭიროებისამებრ მარტივ ხელმისაწვდომობას.

რეგულაციების ანალიზი და მიმდინარე პრაქტიკის შეფასება ცხადყოფს, რომ კოლეჯი ეფექტიანად მართავს შეფასების პროცესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას — მტკიცებულებებისა და ინფორმაციების სტრუქტურირებული შენახვა სრულ შესაბამისობაშია დადგენილ წესებთან და უზრუნველყოფს ხარისხიანი და გამჭვირვალე პროცესების არსებობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ: კოლეჯი იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის.
შეფასების შედეგების საფუძველზე, პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალ მიდგომებსა და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც სასწავლო მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას. განმავითრებელი გამოცდების შემდეგ სტუდენტებს ეძლევათ რეკომენდაციები, რომლებიც აძლიერებს მათ პროგრესს და უზრუნველყოფს საჭირო მიმართულებით მიზნობრივ დახმარებას.
პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები არა მხოლოდ ემსახურება შეფასების მიზნების მიღწევას, არამედ წარმოაჩენს მომავალი განვითარების მიმართულებებს. შედეგებზე დაყრდნობით ინიცირებული ცვლილებები და რეკომენდაციები ხელს უწყობს როგორც სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასწავლო პროცესის სრულყოფას მთლიანობაში

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-87 13.08.2021
- ვერიფიკაციის დოკუმენტაცია
- გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

15.07.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: